Interreg NEXT Black Sea Basin

Co-funded by the European Union

LEARN4SEA

პროექტი თანადაფინანსებულია Interreg NEXT Black Sea Basin Programme-ის ფარგლებში

საინფორმაციო ბიულეტენი
ივნისი,2025

პროექტის ძირითადი ეტაპების მიმოხილვა 2025 წლის მარტიდან ივნისამდე

მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ,

თანადაფინანსებული პროექტი LEARN4SEA!

პროექტის მთავარი მიზანია მოქალაქეების გარემოსადმი მეგობრული ქცევის გაუმჯობესება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და დაბინძურების შემცირება.

ვინ ვართ ჩვენ:

- რუმინეთის საზღვაო სასწავლო ცენტრი - (რუმინეთი) CERONAV - წამყვანი პარტნიორი
- შავი ზღვა - დუნაის კვლევისა და განვითარების ასოციაცია ბულგარეთი BDCA
- საქართველოს – სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო NEA
- პირი რეის უნივერსიტეტი (თურქეთი) PRU
- შაბლას მუნიციპალიტეტი (ბულგარეთი) SM

• მეორე ტრანსნაციონალური შეხვედრა სტამბოლში

2025 წლის 10-12 აპრილს, სტამბოლში გაიმართა LEARN4SEA პროექტის პარტნიორთა რიგით მეორე ტრანსნაციონალური შეხვედრა, რომელსაც კოორდინაციას უწევდა CERONAV. შეხვედრის მიზანი იყო პროექტის მიმდინარე ეტაპის შეფასება, რომელიც ითვალისწინებდა ცნობიერების ამაღლებას დაბინძურების შემცირების მიმართულებით. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა თურქეთისა და ბულგარეთის დაინტერესებულ მხარეებთან, რომელზეც განხილული იქნა გარემოსდაცვითი კომუნიკაციისა და მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები. სესია მიზნად ისახავდა განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა საჰაერო და ნარჩენების შემგროვებელი დრონების დემონსტრაცია. ტესტირება განხორციელდა მოწყობილობების მიმწოდებლებისა და მასპინძელი ინსტიტუტის მონაწილეობით. ტექნოლოგიური დემონსტრაციისას ყველა პარტნიორი აქტიურად იყო ჩართული და დეტალურად განიხილა ტექნიკური მახასიათებლები.

შავი ზღვის ეკოსისტემის მონიტორინგი - საქართველო

2025 წლის 15-17 მაისს გარემოს ეროვნული სააგენტოს ექსპერტებმა განახორციელეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის შავი ზღვის საქართველოს წყლებში.

წყლის ნიმუშების აღება განხორციელდა გემიდან, ასევე განხორციელდა ადგილზე გაზომვებიც ფიზიკურ ქიმიური პარამეტრების. ნიმუშები შესაბამისი წესების დაცვით წაღებული იქნა სააგენტოს ლაბორატორიაში შემდგომი ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზებისთვის. საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ანალიზების დასრულების შემდგომ. საველე სამუშაოები განხორციელდა სტრატეგიულად შერჩეულ მარშრუტზე, მათ შორის სარფში, საქართველო თურქეთის საზღვართან.

შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს LEARN4SEA პროექტის ფარგლებში შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის კომპლექსური შეფასებისთვის.

პარტნიორობის გაძლიერება: Ceronav -ის შეხვედრა mare nostrum-თან

პროექტის ფარგლებში CERONAV-ის გუნდი შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციის Mare Nostrum-ის მმართველებს. შეხვედრა ფოკუსირებული იყო ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვაზე შავი ზღვის რეგიონში კერძოდ: საერთო მიზნების იდენტიფიცირებაზე; მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებაზე საზღვაო განათლების მიმართულებით და საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობების იდენტიფიცირებაზე.

აღნიშნული შეხვედრა წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს LEARN4SEA პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ქსელის გაფართოებისა და სექტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიმართულებით.

For real-time air quality data, visit: www.uradmonitor.com

მსოფლიო გარემოს დაცვის დღე – სადემონსტრაციო კამპანიები

ამ დღის აღსანიშნად NEA-მ ჩაატარა ორი მასშტაბური საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანია. პირველი აქტივობა იყოს შავი ზღვის სანაპიროს დასუფთავების აქცია, რომელშიც სკოლის მოსწავლეები ჩაერთნენ. ინიციატივა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების წახალისებას შემდგომში მათი გარემოსდამცველებად ჩამოყალიბების მიზნით. მომზადდა და გავრცელდა სპეციალურად შექმნილი სარეკლამო და საგანმანათლებლო მასალები, რომლებიც ეკომეგობრული ქცევის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს.

მეორე ღონისძიება მოიცავდა მოწინავე ტექნოლოგიის — ნარჩენების შემგროვებელი დრონის დემონსტრაციას. ღონისძიება გაიმართა ბათუმში და მას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის ბათუმის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები.



ჰაერის ხარისხის მონიტორინგი – დაიწყო ზაფხულის კამპანია

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მეორე კამპანია დაიწყო 2025 წლის ზაფხულის პერიოდში და ეფუძნება ზამთრის ფაზის შედეგებს.

მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე:

- ტულჩა, კონსტანტა (რუმინეთი)
- სილისტარი, შაბლა (ბულგარეთი)

განთავსდა ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მობილური სადგურები და დაიწყო მონაცემების რეალურ დროში შეგროვება რათა გაანალიზებულიყო სეზონური განსხვავებები ჰაერის ხარისხის მიმართულებით. სილისტარში (ბულგარეთის შავი ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთ ყველაზე სამხრეთ წერტილში) განთავსებული სადგური სრულად, დატვირთვით ფუნქციონირებდა და აწვდიდა მნიშვნელოვან მონაცემებს დაბინძურების დინამიკის დასადგენად რეგიონში და მნიშვნელოვანი შენატანია ასევე შავი ზღვის არეალის მდგარდი სტრატეგიების განხორციელებაში.

1 ტონა ნარჩენი იქნა გატანილი კამპანიის ფარგლებში - ეზრეციდან - შაბლას სანაპირომდე

2025 წლის 14 ივნისს, პროექტის ფარგლებში გაიმართა მასშტაბური დასუფთავების აქცია. მონაწილეობდა 30-ზე მეტი მოხალისე, მათ შორის ადგილობრივი მაცხოვრებლები, ტურისტები, რომელთაც შეაგროვეს 1 ტონამდე ნარჩენი, ძირითადად პლასტიკი, შუშა, მეტალი და გაფუჭებული ელექტრონული მოწყობილობებიც კი. შაბლას და ეზრეცის ჯგუფებმა პარალელურად დაიწყეს ნარჩენების შეგროვება: ეზრეცის ჯგუფმა შეაგროვა 500 კგ-მდე ნარჩენი, ხოლო შაბლას გუნდმა შეავსო თითქმის 50 ტომარა.

კამპანიამ წარმატებით გააერთიანა გარემოსდაცვითი და საგანმანათლებლო მიზნები, მათ შორის საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის ხაზგასმა. მოხალისეები უზრუნველყოფილნი იყვნენ საჭირო აღჭურვილობით: ხელთათმანებით, ნაგვის ტომრებით, ტრანსპორტით, საკვებითა და სასმელი წყლით, რაც მათ უსაფრთხო და ეფექტურ მონაწილეობას უწყობდა ხელს. შეგროვებული ნარჩენები გადააგზავნეს ლიცენზირებულ ნაგავსაყრელებსა და გადამამუშავებელ ცენტრებში. ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ ადგილობრივი პარტნიორები — შაბლას მუნიციპალიტეტი და დობრუჯას ასოციაცია, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს გარემოსდაცვითი ინიციატივებისადმი მხარდაჭერა და მომავალშიც გეგმავენ დამატებით დასუფთავების აქციებს საზოგადოებრივი ჩართულობის გასაძლიერებლად.

პასუხისმგებლობა
LEARN4SEA
რედაქტორი: CERONAV
რედაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია: alinaoprea@ceronav.ro
გამოქვეყნების თარიღი: 25.06.2025.

მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი(ები). მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.
დასაშვებია კოპირება, თუ მითითებული იქნება წყარო და ნებისმიერი სახის ცვლილება.

იყავით ინფორმირებულნი

LEARN4SEA-ის საზოგადოებას აგრძელებს ძალისხმევას დააკავშიროს ერთმანეთთან მეცნიერება, პოლიტიკა და საჯარო ჩართულობა უფრო სუფთა და ჯანსაღი შავი ზღვის გარემოს შესაქმნელად.

საკონტაქტო ინფორმაცია:
წამყვანი პარტნიორი CERONAV - რუმინეთის საზღვაო სასწავლო ცენტრი, კონსტანცა, რუმინეთი
საკონტაქტო პირი: ქალბატონი მიჰაელა ვინტილა
mihaelavintila@ceronav.ro;